

## ზოგადი წინადადება

### დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსის მონაწილეების ლ. ჩ.-ს (წარმომადგენელი: მ. კ. (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)), გ. ს.-სა და მ. ჩ.-ს (ორივე განმცხადებლის წარმომადგენელი: თ. კ. (ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“) N4006/22 და N5286/22 განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულებებისა და ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებს შეეხება.

ზემოაღნიშნულ განცხადებებს, საერთო მახასიათებლებიდან და კულტურის სფეროში ბოლო პერიოდში განვითარებული მასშტაბური ხასიათის მწვავე მოვლენების<sup>1</sup> გათვალისწინებით, სახალხო დამცველი ერთიანად განიხილავს. აღსანიშნავია, რომ საქმეთა სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან.<sup>2</sup> თუმცა, საპასუხო კორესპონდენციები აპარატს, ამ დრომდე, არ მიუღია.

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

#### ლ. ჩ.-ს საქმე

ლ. ჩ. არის სსიპ „ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელმაც, უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, განაცხადი წარადგინა ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსზე. კონკურსის ფარგლებში, სამინისტროში ერთი - მხოლოდ განმცხადებლის განაცხადი შევიდა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. ქვეთავი 2.2.

<sup>2</sup> 2022 წლის 13 აპრილის N13-3/3948 წერილი; 2022 წლის 25 მაისის N13-3/5398 წერილი.

<sup>3</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/k1efeq>

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის N00003139 ბრძანებით, კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა, რასაც საფუძველად დაედო სარეკომენდაციო საბჭოს დებულების<sup>4</sup> მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, სამინისტრო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში წარდგენილი კანდიდატებიდან არცერთი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ან/და **კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენა არ ჩაითვლება მიზანშეწონილად.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მითითებით: „სამინისტრომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თეატრს არ გააჩნია მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი შენობა, არ ჰყავს მუდმივმოქმედი დასი და ტექნიკური პერსონალი. ბუნებრივია, მოცემული პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან თეატრისთვის დამატებითი ინვესტიციის გამოყოფას საჭიროებს, რომლის ოპტიმალური, მიზნობრივი გამოყენება უმნიშვნელოვანესია თეატრის შემდგომი განვითარებისათვის. მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების პირობებში, სავარაუდო რისკების შემცირების მიზნით, სამინისტრომ მიიჩნია, რომ დმანისის თეატრს ხელმძღვანელობდეს როგორც სახელოვნებო, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციის მართვის საქმეში უფრო მეტად გამოცდილი პირი. ასეთ კანდიდატურად კი ჩაითვალა რეჟისორი გ. ს., რომელსაც როგორც ზემოთ აღინიშნა, ორი, ძალიან მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციის, მასშტაბური სახელოვნებო ორგანიზაციის მრავალწლიანი მართვის გამოცდილება აქვს.“<sup>5</sup> შესაბამისად, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 8 თებერვლის N00003155 ბრძანებით, „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (მინისტრი უფლებამოსილია სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნოს **საკუთარი შეხედულებით**), გ. ს. დაინიშნა.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია ლ. ჩ.-სა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის 8-10 თებერვლით დათარიღებული სოციალური ქსელის მიმოწერა, რომელშიც კითხვაზე, თუ რატომ ჩაიშალა კონკურსი, მინისტრი პასუხობს: „იმტომ, რომ დმანისის თეატრის განვითარებისთვის ამ მასშტაბის რეჟისორია საჭირო. მის პირობებში გაჩნდება დასი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება დარბაზს და იმედი მაქვს, უკეთეს თეატრს დაუტოვებს დმანისს, ვიდრე ახლაა. მისი კრიტიკითა და ლანძღვით შორს ვერ წახვალთ. დაწყნარდით და დამშვიდდით. თუ რაიმე გქონდათ სამინისტროსთან სასაუბრო, როგორც სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ამისთვის გქონდათ ათი თვე. ეს ფეისბუქი მქონდა მაშინაც. სამხატვრო

---

<sup>4</sup> „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 6 დეკემბრის N36299 ბრძანება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/mhb8lo>

<sup>5</sup> იქვე.

ხელმძღვანელი ერთხელ მაინც უნდა დაელაპარაკოს საკუთარ სამინისტროს და აუხსნას, რა გეგმები აქვს და რით სუნთქავს. წარმატებებს გისურვებთ!“

ამასთან, განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს მინისტრის ინტერვიუ „ტელეიმედის“ გადაცემიდან „იმედი LIVE“ (10.02.2022), რომელშიც იგი თეატრების ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსების თემებსაც შეეხო და აღნიშნა: „თუ ამ სისტემაში ის ნაბიჯები არ გადაიდგა, რომელთა გადადგმასაც მრავალი წელია პროფესიონალები ითხოვენ... ეს არ არის ჩემ მიერ გამოგონილი ნაბიჯები, ეს არის ის ნაბიჯები, რომლის გადადგმის მოლოდინი ძალიან ბევრ თეატრის წარმომადგენელს ... ჰქონდა. ეს არის რეალურად პროფესიონალების ის დიდი ჯგუფი, რომლებიც ჩუმად არიან, თავის საქმეს აკეთებენ და პრაქტიკულად ბოლო არაერთი წლის მანძილზე ... არიან მოლოდინის და იმედის რეჟიმში. ... ეს ჩემი გადაწყვეტილებებია და მე მათზე სრულად ვაგებ პასუხს, მაგრამ მე ვუსმენ სხვებს, ძალიან ბევრს მანამ, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ ... მე არ ვიცნობ ბატონ ლ. ჩ.-ს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე 10 თვეა, რაც ვარსებობთ, როგორც ცალკე სამინისტრო, თითქმის ყველა სამხატვრო ხელმძღვანელისგან განსხვავებით, მას არასდროს არ ჰქონია სურვილი, რომ სამინისტროსთან ან შეხვედრა გაემართა ან აეხსნა რა ხედვა აქვს და რითი სუნთქავს. მე არ ვიტყვი, რომ იყო ლ. ჩ., რომ მე მოვიტანე დმანისის თეატრი ზურგით. ალბათ, ეს, რბილად რომ ვთქვა, უსამართლობა იქნებოდა სწორედ და უსამართლობა კარგი სიტყვა ამ შემთხვევაში, თუნდაც ქალბატონი ზინაიდა კვერენჩხილადის წინაშე და ბევრი სხვა დამსახურებული ძველი თაობის ადამიანის წინაშე ... რა თქმა უნდა, მან 4 წელი აქტიურად იმუშავა, მწირ პირობებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ თანამდებობაზე არ უნდა გაიგზავნოს სამინისტროდან უფრო მასშტაბური, უფრო გამოცდილი და უფრო დიდი იმედების მომცემი რეჟისორი, რაც არ გამოორიცხავს იმას, რომ წლების მერე, ვთქვათ, იგივე რეჟისორი ჩაუდგეს ამ თეატრს სათავეში.“

განმცხადებელი საკითხთან დაკავშირებით დამსაქმებლის მიერ გაკეთებულ განმარტებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და მიუთითებს მისი სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდში მიღწეულ შედეგებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე, დარგის სპეციალისტების დადებით შეფასებებზე, ასევე - დმანისის თეატრის ბოლო წლების აქტიური მუშაობისთვის 2021 წელს მიღებულ ჯილდოზე. ხოლო, მინისტრის გადაწყვეტილებას, სარეკომენდაციო საბჭოსთვის არ წარედგინა მისი კანდიდატურა, მის განსხვავებულ პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს უკავშირებს. ამ კუთხით, განმცხადებელი ეყრდნობა კანდიდატა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს წევრთა სატელევიზიო ინტერვიუებს, რომელთა თანახმადაც, ლ. ჩ.-ს პრობლემები ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო დმანისის თეატრში დადგმული პოლიტიკური შინაარსის სპექტაკლით „ხალხის მტერი“.

საქმის მასალებში წარმოდგენილია „მთავარი არხის“ გადაცემაში „Post Factum“ გასული სიუჟეტი (13.02.2022), რომელშიც სარეკომენდაციო საბჭოს წევრი მ. ვ. აღნიშნავს: „მე მგონია, რომ ყველა წევრი დაუჭერდა მხარს, მე არ მგონია, რომ ლ.-ს კანდიდატურა ჩავარდნილიყო ... ჩვენ, სხვათაშორის, საუბარი გვქონდა მინისტრთან ამ საკითხზე, რომ რატომ, როდესაც ახალგაზრდა კაცი კარგად მუშაობს, რატომ არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ კიდევ გააგრძელოს თავისი მუშაობა, და მუნიციპალიტეტთან ჰქონია პრობლემები. აი, ამის გამო

მოხდა ესო, ნუ, აი, ესეთი პასუხი მივიღეთ, რომ გ.-ს შემთხვევაში უფრო მეტად იმუშავებს, ვთქვამთ, მუნიციპალიტეტი თეატრთან ... როცა სამხატვრო ხელმძღვანელი ხარ, ან რაღაცის ხელმძღვანელი ხო, შენ უნდა შეგეძლოს, რაღაცნაირად ყველასთან დალაგება ურთიერთობის ... შენ [სახელმწიფო სტრუქტურას დაქვემდებარებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი] უნდა კომუნიკაციაში იყო, რა თქმა უნდა, ის გაფინანსებს.“ საბჭოს წევრი ლ. ჩ. კი, განმარტავს: „თეატრს კონფლიქტიც კი ჰქონდა, რაღაც სპექტაკლი დადგეს „ხალხის მტერი“ და მუნიციპალიტეტს ამის გამო ჰქონდა პრობლემა ... ამ შემთხვევაში, სახელმწიფოსაც - კულტურის სამინისტროს, ცენტრალურ ხელისუფლებას ვგულისხმობ, ურჩევნია ყოველთვის ისეთი კანდიდატი იყოს, რომელიც კარგ ურთიერთობაში იქნება ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ცენზურა ეს არ არის, მგონი, იმიტომ, რომ ეს არის ორ კონკრეტულ ადამიანს შორის შეუთავსებლობა“.

მ. ვ.-მ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა, ასევე, აჭარის ტელევიზიის გადაცემაში „ART ექსპერტი“ (15.02.2022), სადაც დამატებით განმარტა მისი ზემოთ ხსენებული ინტერვიუ: „მე იქ არ მიგულისხმია, რომ ლ. ჩ. მაინცდამაინც რაღაც ისეთ ურთიერთობაზე უნდა წასულიყო, არა, მე ის ვიგულისხმე, რომ როდესაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხარ, რა თქმა უნდა, რაც გინდა, ის უნდა დადგა თეატრში, უფრო სწორად, რასაც თვლი საჭიროდ, ის უნდა დადგა თეატრში და „ხალხის მტერიც“ უნდა დადგა და ყველა ის ნაწარმოები, რომელიც მიგაჩნია, რომ დღეს აქტუალურია, რა თქმა უნდა. მე სხვა რამე ვიგულისხმე ... ვთქვამთ, ქალაქის მერს ... ეწეინა და თავისი თავი ეგონა ეს, რაც ხდება იბსენის „ხალხის მტერში“ ... ხო შეიძლება, რომ უბრალოდ ახსნილიყო ეს ყველაფერი ... როდესაც თეატრის ბედი წყდება, რაღაცნაირად უნდა მოახერხო მათთან კომუნიკაციაში შესვლა.“ ამავე ინტერვიუში საბჭოს წევრმა კიდევ ერთხელ გააჟღერა მინისტრთან შეხვედრისას მიღებული ინფორმაცია: „პასუხი მივიღეთ, რომ ლ.-ს არ აქვს დალაგებული მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა ... მუნიციპალიტეტთან და ქალაქთან ... დეტალებში აღარ შევსულვართ“.

საქმის მასალებში ფიგურირებს დმანისის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის გ. ტ.-სა და ლ. ჩ.-ს 2019 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული სოციალური ქსელის მიმოწერა, რომელშიც ყოფილი მერი აზიარებს სპექტაკლში გამოყენებული ავტომობილის ფოტოს და ლ. ჩ.-ს მიმართავს: „ლ. სალამი, ლ. ხვალ დილას 10 გადმოდი ჩემთან სალაპარაკო მაქვს ამ იდიოტიზმთან დაკავშირებით და ხვალ არ დავინახო ეს მანქანა მანდ და კიდევ წარმოადგენ ყველა სპექტაკლის დეტალებს თავისი ტექნიკური საკითხებით ხვალ ოფიციალურად მერის და კულტურის ცენტრის სახელზე“. განმცხადებლის მითითებით, სპექტაკლმა ადგილობრივი თვითმმართველობის უკმაყოფილება მწვავე პოლიტიკური საკითხების გაჟღერების გამო გამოიწვია. კერძოდ, ბევრი დამთხვევა იყო პიესის სიუჟეტსა და დმანისის მუნიციპალიტეტში მადნეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის.

### **გ. ს.-ს საქმე**

გ. ს.-მ განაცხადი წარადგინა სსიპ „სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა“ და სსიპ „გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევ კონკურსებზე. მეორე მათგანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022

წლის 24 იანვრის N00001683 ბრძანებით, ჩაშლილად გამოცხადდა, რასაც ამ შემთხვევაშიც, საფუძვლად დაედო სარეკომენდაციო საბჭოს დებულების მე-6 მუხლი. სენაკის დრამატული თეატრის შემთხვევაში კი, სამინისტრომ სარეკომენდაციო საბჭოს ორი კანდიდატურა წარუდგინა, რომელთა შორის არ იყო გ. ს..

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია გ. ს.-სა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის სოციალური ქსელის მიმოწერა, რომელშიც მინისტრი აღნიშნავს: „გამარჯობა, ბატონო გ.! რა პროფესიული და სხვა თვისებებიც გამოავლინეთ, არ მგონიხართ სახელმწიფო თეატრისთვის შესაბამისი კანდიდატი და, რასაც თქვენ ოპონირებას უწოდებთ, უბრალოდ უარგუმენტო ლანძღვაა“.

გ. ს. აღნიშნულს უკავშირებს იმ გარემოებას, რომ იგი ღიად საუბრობდა კულტურის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებსა და გამოწვევებზე, რომელთაც სამინისტრო და, ზოგადად, ხელისუფლება ვერ უმკლავდება.<sup>6</sup> გარდა ამისა, იგი იყო დამდგმელი რეჟისორი პიესისა „ხალხის მტერი“, რომელსაც მოგვიანებით დმანისის მუნიციპალიტეტის უკმაყოფილება მოჰყვა და დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კონკურსის ჩაშლა დაუკავშირდა. ამდენად, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ იგი განსხვავებული შეხედულებებისა და კრიტიკული პოზიციის გამო დისკრიმინაციულ მოპყრობას დაექვემდებარა.

### *მ. ჩ.-ს საქმე*

მ. ჩ.-მ განაცხადი წარადგინა სსიპ „ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსზე. თუმცა, კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა და განიმარტა, რომ კანდიდატთა შორის რამდენიმე **ახალგაზრდა**, პერსპექტიული რეჟისორი იყო, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლეოდა იმის დასაბუთებულ მოლოდინს, რომ ისინი, კარიერის მოცემულ ეტაპზე, შეძლებდნენ ისეთი მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციების მქონე სახელოვნებო დაწესებულებისა და ერთ-ერთი დიდი საბიუჯეტო ორგანიზაციის მართვას, როგორც არის ქუთაისის დრამატული თეატრი.<sup>7</sup>

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ინფორმაცია სარეკომენდაციო საბჭომდე მიტანილი არ ყოფილა და მინისტრმა გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს სფეროს წარმომადგენლები და საბჭოს წევრები მხარს უჭერდნენ. ამასთან, განმცხადებელი ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ სახელმწიფო თეატრებში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა არაერთ პროექტს და მისი ნამუშევრები დადებითად ფასდებოდა სამხატვრო ხელმძღვანელებისა და კონკურსის

---

<sup>6</sup> მათ შორის, განცხადების თანახმად, გ. ს. არის საინიციატივო ჯგუფის „ხელოვანები „რე“ ფორმისათვის“ წევრი. ჯგუფმა 2021 წელს მინისტრს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ხელოვანთა უმრავლესობას მოღვაწეობა და შრომა უწევს უსამართლო გარემოში, სადაც უგულვებელყოფილია ადამიანის ძირითადი უფლებები, სამინისტროს მიერ განსაკარგი ბიუჯეტი არ ნაწილდება გამჭვირვალედ და პროპორციულად, ყურადღება არ ექცევა კერძო ინიციატივებს, სახელმწიფო სახელოვნებო ორგანიზაციები ჩაკეტილი და მონოპოლიზებულია, არ არსებობს ღია და ეფექტური კომუნიკაცია დასაქმებულებსა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის.

<sup>7</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/wbc7xo>

საკონსულტაციო საბჭოს წევრების მიერ. გარდა ამისა, ამჟამად მოქმედი სამხატვრო ხელმძღვანელი დაინიშნა იმის მიუხედავად, რომ მას მილიონიანი პროექტის მართვის გამოცდილება არ აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ჩ. მიიჩნევს, რომ ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას დაექვემდებარა.

## 2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამავ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გამლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

### 2.1. პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევის პროცედურა

სამივე განმცხადებელთან მიმართებით, წარმომადგენლები აპელირებენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მხრიდან ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ კონკურსის ჩაშლის უფლებამოსილებას დაეფუძნა. ამასთან, სენაკის დრამატული თეატრის შემთხვევაში (გ. ს.-ს საკითხი), სამინისტრომ გამოიყენა, აგრეთვე, წარდგენილი კანდიდატებისგან სარეკომენდაციო საბჭოსთვის წარსადგენად არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კანდიდატის შერჩევის უფლებამოსილება.<sup>8</sup>

პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევის ზოგადი წესი „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით განისაზღვრება: სამინისტროს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ სახელმწიფო თეატრში **სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს<sup>9</sup> მიერ**

<sup>8</sup> „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 6 დეკემბრის N36299 ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 5.

<sup>9</sup> კანონის თანახმად (მუხ. 3), სამხატვრო საბჭო წარმოადგენს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებულ, თეატრის საქმიანობის ხელშეწყობ ორგანოს, რომლის შექმნისა და საქმიანობის



**წარდგენილ კანდიდატს ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით;** მინისტრი უფლებამოსილია ა) დანიშნოს შესაბამის სამინისტროსთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს მიერ წარდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატი; ბ) მოსთხოვოს სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს სამხატვრო ხელმძღვანელის ახალი კანდიდატურის წარდგენა; გ) სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნოს საკუთარი შეხედულებით. კანდიდატი ვალდებულია სამხატვრო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სარეკომენდაციო საბჭოს წარუდგინოს თეატრის განვითარების საკუთარი ხედვა და კონცეფცია. კანონი ადგენს, რომ **სარეკომენდაციო საბჭოსთვის კანდიდატურის წარდგენის წესი** განისაზღვრება სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.<sup>10</sup>

კონკურსის ჩაშლის უფლებამოსილება, რომელსაც „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, სწორედ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 6 დეკემბრის N36299 ბრძანებით დამტკიცებული სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით არის განსაზღვრული (მუხლ. 6, პუნ. 7). დებულების დამტკიცება წინ უსწრებდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი 29 თეატრიდან 21 მათგანის სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების 4-წლიანი ვადის გასვლას (2022 წლის 1 იანვარი), რის გამოც, სამინისტრომ ეტაპობრივად ზოგიერთ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევად კონკურსი გამოაცხადა, ზოგ შემთხვევაში კი, მინისტრმა სამხატვრო ხელმძღვანელი საკუთარი შეხედულებისამებრ, უკონკურსოდ დანიშნა.<sup>11</sup>

სახალხო დამცველისთვის უცნობია, რამდენად ითვალისწინებდა წინა წლებში მოქმედი სარეკომენდაციო საბჭოს დებულება/დებულებები კონკურსის ჩაშლის შესაძლებლობას და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რამდენად წარმოადგენდა მინისტრის მხრიდან მსგავსი უფლებამოსილების გამოყენება დადგენილ პრაქტიკას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან გამოთხოვილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს ამ დრომდე არ მიუღია. ამასთან, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს არ აქვს მოქმედი ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც აღნიშნული მონაცემების გადამოწმება იქნებოდა შესაძლებელი.<sup>12</sup>

## **2.2. პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევის პროცესი უფლებრივ ჭრილში**

წესი განისაზღვრება თეატრის დებულებით (წესდებით); სარეკომენდაციო საბჭო კი, არის სამინისტროსთან/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ან მუნიციპალიტეტთან არსებული, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებული ორგანო, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი მინისტრის ან მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით. აღსანიშნავია, რომ თეატრში სამხატვრო საბჭოს არსებობა დამოკიდებულია სამხატვრო ხელმძღვანელის ან/და თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის შესაბამის გადაწყვეტილებაზე (მუხ. 10, პუნ. 16).

<sup>10</sup> „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 10, პუნ. 10; მუხ. 3, „ჩ“ ქვეპუნქტი.

<sup>11</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=1117913625630052>

<sup>12</sup> იხ. <http://culture.gov.ge/>

განსახილველი საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ შრომის უფლებას, რომელიც, მათ შორის, იცავს უფლებას, აირჩიო, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო სამუშაო;<sup>13</sup> აღიარებს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.<sup>14</sup> შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.<sup>15</sup> თავად კონკურსის არსიდან გამომდინარეობს კანდიდატთა შერჩევისას შეფასების ფართო არეალი, რაც ზრდის არაობიექტური და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების რისკებს.<sup>16</sup> სწორედ ამიტომ, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.<sup>17</sup>

თუმცა, საქმისთვის რელევანტური უფლებრივი სპექტრი მხოლოდ შრომით-სამართლებრივი სფეროთი არ შემოიფარგლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით აღიარებულია, აგრეთვე, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. კულტურა მოიცავს, მათ შორის, ხელოვნებას.<sup>18</sup> კულტურულ ცხოვრებაში თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობის უფლების სრული რეალიზაციისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მისაღებობა, რაც გულისხმობს, რომ კანონები, პოლიტიკა, სტრატეგიები, პროგრამები და სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები ფორმულირებული და აღსრულებული უნდა იყოს ჩართული პირებისა და საზოგადოებებისთვის მისაღები ფორმით.<sup>19</sup> სახელმწიფოს ეკისრება კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების პატივისცემის ვალდებულება, რაც მოიცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებისა და შემოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფას; ეს კი სახელმწიფოსგან მოითხოვს ხელოვნებისა თუ გამოხატვის სხვა სფეროებში განხორციელებულ კულტურულ აქტივობებში ცენზურის აღმოფხვრას.<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ შემოქმედების თავისუფლებას უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლიც,

---

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II.3.19.

<sup>14</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1.

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-20-2022.

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-1389(კ-18).

<sup>17</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 2, პუნ. 10 („ა“); საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 2, პუნ. 3, მუხ. 5.

<sup>18</sup> გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი N21: თითოეული ადამიანის უფლება, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში (პაქტის მე-15 მუხლის 1(„ა“) პუნქტი), 21 დეკემბერი 2009, E/C.12/GC/21, პარ. 13.

<sup>19</sup> იქვე, პარ. 16(c).

<sup>20</sup> იქვე, პარ. 49(b, c).



რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს შემოქმედებით პროცესში ჩარევასა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურას.

სახალხო დამცველი ყურადღებას მიაპყრობს „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც მიზნად ისახავს, მათ შორის, თეატრალური საქმიანობის შემოქმედებითი თავისუფლების სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფას.<sup>21</sup> კანონის თანახმად, პროფესიული თეატრების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, სხვა პრინციპებთან ერთად, თეატრისა და თეატრალური საქმიანობის შემოქმედებით დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ეფუძნება.<sup>22</sup> ამასთან, შემოქმედებითი საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება და მხატვრული მიმართულებისა და რეპერტუარის თავისუფლად არჩევა პროფესიული სახელმწიფო თეატრების უფლებებად არის აღიარებული.<sup>23</sup>

სწორედ თეატრალური საქმიანობის შემოქმედებითი თავისუფლების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებულ გარანტიად უნდა მოვიაზროთ სამხატვრო ხელმძღვანელების დანიშვნის პროცესში სარეკომენდაციო საბჭოს როლი. აღნიშნულს მოწმობს ამ კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანმხლები განმარტებითი ბარათი,<sup>24</sup> რომლის თანახმადაც, ცვლილებები მიზნად ისახავდა თეატრისათვის შედარებით უფრო სამართლიანი და საჭირო წესის დამკვიდრებას, რაც მოიაზრებდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შერჩევას **აღმასრულებელი ხელისუფლების, სარეკომენდაციო საბჭოსა და თეატრალური კოლექტივის ერთობლივი კონსენსუსით**. სწორედ მსგავსი თანამონაწილეობა იყო კანონმდებლის მიერ აღქმული თეატრის ეფექტურად და დაბალანსებულად მართვის საშუალებად.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს მინიჭებული აქვს, მათ შორის, სამხატვრო ხელმძღვანელის საკუთარი შეხედულებით დანიშვნის უფლებამოსილება, როგორც კანონმდებლის ნება, ისე - კანონში ასახული დებულებები, რომლებიც ზემოთ მიეთითა, ცალსახად მიუთითებს კანდიდატის არჩევის პროცესში დარგის სპეციალისტების მონაწილეობის (იქნება ეს სარეკომენდაციო საბჭოს სახით თუ სამხატვრო საბჭოების ჩართულობით) არსებით მნიშვნელობაზე. ამ გზით არის შესაძლებელი კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას შესაბამის სფეროში ჩართული პირების (მოცემულ შემთხვევაში, თეატრმცოდნეების) აზრის გათვალისწინება და მისაღებობის მოთხოვნის დაკმაყოფილება. სხვა შემთხვევაში, იზრდება შრომისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებში, აზრისა და გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლებებში ჩარევისათვის ხელსაყრელი ნიადაგის ჩამოყალიბების

<sup>21</sup> „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 2, პუნ. 1 („ა“).

<sup>22</sup> იქვე, მუხ. 4, პუნ. 1 („ბ“).

<sup>23</sup> იქვე, მუხ. 6, პუნ. 1 („ა“, „ბ“).

<sup>24</sup> „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (N378-IVმს-Xმპ, 16/03/2021) პროექტის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/22975>

რისკები და ჩნდება არაობიექტური, მიკერძოებული, დისკრიმინაციული მოპყრობისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევის ვარაუდი.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია განსახილველი საქმეები, რომელთა ფარგლებშიც განმცხადებელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდი, მეტწილად, სწორედ იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ მინისტრმა კანდიდატების სარეკომენდაციო საბჭოსთვის წარდგენა მიზანშეწონილად არ ჩათვალა და შესაბამისი კონკურსები ჩაშლილად გამოაცხადა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულია **კონკურსის ჩაშლისა და თავიდან გამოცხადების შესახებ** გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, სსიპ „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ შემთხვევაში, კონკურსის ჩაშლის შემდეგ, მინისტრმა საკუთარი შეხედულებით დანიშნა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი („პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენებით). გარდა ამისა, სამივე განმცხადებლისთვის ბუნდოვანი დარჩა, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა სამინისტრომ მათი კანდიდატურების სარეკომენდაციო საბჭოსთვის წარდგენის მიზანშეწონილობის შეფასებისას.

სარეკომენდაციო საბჭოს დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: „სამინისტრო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლისა და თავიდან გამოცხადების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი კანდიდატებიდან არცერთი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ან/და შერჩეული კანდიდატების საბჭოსთვის წარდგენა არ ჩაითვლება მიზანშეწონილად.“ „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები: სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი, ოპერისა და ბალეტის თეატრში – პროფესიით დირიჟორი ან უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე სხვა პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – სახელოვნებო გამოცდილების, აღიარების, თვალსაჩინო დამსახურების მქონე პირი.<sup>25</sup> დამატებით, თავად დებულება განსაზღვრავს, რომ კანდიდატურების შერჩევისას, სამინისტროს მიერ მხედველობაში მიიღება, თუ რამდენად დეტალური და წლების მიხედვით გაწერილია კანდიდატის მიერ წარმოდგენილი თეატრის განვითარების კონცეფცია, 4-წლიანი სამოქმედო გეგმა და პროგრამა და რამდენად კონკრეტულია მისი ხედვა.<sup>26</sup> თეატრის განვითარების ხედვასა და კონცეფციაში, სხვებს შორის, უნდა ახსნას, თუ როგორ ხედავს კანდიდატი თეატრის განვითარებას, თეატრის გარედან მოწვეული ქართველი და უცხოელი რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლების შეთავაზებას საზოგადოებისათვის, თეატრის მეშვეობით ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების, თეატრის მხატვრებისა და სხვა პროფესიონალების ხელშეწყობას, თეატრის მონაწილეობას მოცემული ქალაქისა და

<sup>25</sup> „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 10, პუნ. 3.

<sup>26</sup> „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 6 დეკემბრის N36299 ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 6.

რეგიონის კულტურულ და სოციალურ განვითარებაში და სხვა.<sup>27</sup> ამასთან, თუ კანდიდატი მოცემული თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელია ან სამხატვრო ხელმძღვანელია, რომელსაც სურს, ახალი ვადით იქნეს დანიშნული იგივე თანამდებობაზე, ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა და ინფორმაციის გარდა, მან საკონკურსო განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს მისი დანიშვნისას წარდგენილი სამოქმედო გეგმისა და სამოქმედო პროგრამის შესრულების დეტალური ანგარიში, ასევე, ანგარიში მისი ხელმძღვანელობის ქვეშ თეატრის მიღწევების შესახებ.<sup>28</sup>

თუმცა, განმცხადებლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები, საჯაროდ გაცხადებული თუ სოციალური ქსელის მიმოწერაში დაფიქსირებული საფუძვლების თანახმად, შემდეგ გარემოებებს დაეფუძნა: ლ. ჩ.-ს შემთხვევაში - სახელმწიფოს მხრიდან თეატრისთვის დამატებით გამოსაყოფი ინვესტიციის ოპტიმალური, მიზნობრივი გამოყენებისთვის, პრიორიტეტის მინიჭება როგორც სახელოვნებო, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციის მართვის საქმეში უფრო მეტად გამოცდილი პირისთვის; სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდში განმცხადებლის ხედვებისა და გეგმების თაობაზე სამინისტროსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა; და მუნიციპალიტეტთან არსებული პრობლემები; გ. ს.-ს შემთხვევაში - განმცხადებლის პროფესიული და სხვა თვისებების სახელმწიფო თეატრისთვის შეუსაბამობა; მ. ჩ.-ს შემთხვევაში - კარიერის მოცემულ ეტაპზე, მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციების მქონე სახელოვნებო დაწესებულებისა და დიდი საბიუჯეტო ორგანიზაციის (ქუთაისის დრამატული თეატრის) მართვის შესაძლებლობის დაუდასტურებლობა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა უშედეგოდ გამოითხოვა, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია: *იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ლ. ჩ.-სა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის არსებული ურთიერთობის პრობლემები/დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის „უკმაყოფილება“ სპექტაკლთან „ხალხის მტერი“ დაკავშირებით, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება მსგავსი საფუძვლით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან კონკრეტული პირის გამორიცხვა; რა გარემოებებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით განხორციელდა როგორც მ. ჩ.-ს, ისე მოქმედი სამხატვრო ხელმძღვანელის მხრიდან ქუთაისის დრამატული თეატრის მართვის შესაძლებლობის შეფასება; რა გარემოებებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით განხორციელდა როგორც გ. ს.-ს, ისე სარეკომენდაციო საბჭოსთვის წარდგენილი ორი კანდიდატის პროფესიული და სხვა თვისებების სახელმწიფო თეატრისთვის შესაბამისად შეფასება.*

იქიდან გამომდინარე, რომ დიდი საბიუჯეტო ორგანიზაციის მართვის გამოცდილება „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სარეკომენდაციო საბჭოს დებულებით სამხატვრო ხელმძღვანელისთვის დადგენილ კრიტერიუმს არ წარმოადგენს, თეატრის განვითარების ხედვისა და სამოქმედო გეგმის წარდგენა კი, კანდიდატს საკონკურსო ეტაპზე მოეთხოვება; ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტთან არსებული

<sup>27</sup> იქვე, პუნ. 8.

<sup>28</sup> იქვე, პუნ. 10.

პრობლემები დმანისის თეატრში დადგმულ კონკრეტულ სპექტაკლს უკავშირდება, სსიპ „ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსთან მიმართებით ხაზი გაესვა ასაკის ფაქტორს (*ახალგაზრდა რეჟისორი*), ხოლო, გ. ს.-ს ზოგადად მიეთითა მის პროფესიულ და სხვა თვისებებზე იმის გათვალისწინებით, რომ, მისი მითითებით, იგი ღიად საუბრობდა კულტურის სფეროში არსებულ გამოწვევებზე, განმცხადებლებს წარმოეშვათ მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდი.

მსგავს ვარაუდებს კიდევ მეტად აძლიერებს ბოლო პერიოდის განმავლობაში კულტურის სფეროს გარშემო მიმდინარე მოვლენები, რომლებმაც საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კითხვის ნიშნები გააჩინა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე ცენზურის დაწესების მცდელობის საკითხებთან დაკავშირებით. საჯარო განხილვის საგნად ქცეულ შემთხვევათა შორისაა: 2021 წლის მარტში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან რეორგანიზაციის საფუძვლით 70 თანამშრომლის გათავისუფლება;<sup>29</sup> ხელოვნების მუზეუმიდან შუა საუკუნეების მიმართულების მთავარი კურატორის ნ. ბ.-ს, კურატორის ნ. ჩ.-ს, ახალი ქართული ხელოვნების ფონდების მცველის ნ. ხ.-სა და ხელოვნებათმცოდნე მ. [მ.] მ.-ს გათავისუფლება;<sup>30</sup> კინოცენტრის დირექტორის გ. ჩ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლება;<sup>31</sup> 2022 წლის 1 ივნისიდან ეროვნული მუზეუმიდან 21 თანამშრომლის (მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, ექსპერტ-მეცნიერების სტატუსით დასაქმებული ასაკოვანი მეცნიერების) გათავისუფლება;<sup>32</sup> ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას“ ჟიურის წევრად სამინისტროს წარმომადგენლის დანიშვნა, რაც კონკურსში მონაწილე მწერლებმა მწერლობაზე „პარტიული კონტროლის დაწესებად“ შეაფასეს.<sup>33</sup>

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტის „*საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევის*“ ავტორების ე. კ.-ს, დ. ვ.-ს, ნ. ხ.-სა და დ. ნ.-ს მიმართ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა, რაც პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმაში გამოიხატა.<sup>34</sup> ამასთან, პროცესების გამჭვირვალედ წარმართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დარგის კვალიფიციური ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობაზე გამახვილდა ყურადღება სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო

<sup>29</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/469845>

<sup>30</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/586613/>; <https://rb.gy/xdq3we>

<sup>31</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lnbqso>; <https://rb.gy/ktjiph>; <https://rb.gy/vwmano>

<sup>32</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/7319by>

<sup>33</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435314>

<sup>34</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 ოქტომბრის N13/10746 რეკომენდაცია.

ანგარიშშიც, რომელშიც ცალკე ქვეთავი დაეთმო შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობასა და მასში დაცულ კოლექციებთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>35</sup>

აღსანიშნავია, რომ როგორც ადმინისტრაციული, ისე შრომითი კანონმდებლობა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებს ბოჭავს თანასწორობის პრინციპის დაცვის ვალდებულებით.<sup>36</sup> ამავდროულად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ნებისმიერი დაწესებულების ვალდებულებას, თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას.<sup>37</sup>

ზემოთ განხილულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის კუთხით შესაბამის პერიოდში გამოვლენილი პრაქტიკა ხელს უწყობს იმგვარი პირობების შექმნას, რომლებმაც, შესაძლოა, კონკრეტული კანდიდატები, მათი განსხვავებული შეხედულებების ან დისკრიმინაციისგან დაცული სხვა ნიშნის გამო, კონკურსის მონაწილე სხვა პირებთან თუ მინისტრის მიერ საკუთარი შეხედულებით დანიშნულ კადრებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს შრომითი უფლებებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებითა და აზრისა და გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლებებით სარგებლობისას და, ამგვარად, პირდაპირი დისკრიმინაციის შემადგენლობა შექმნას.<sup>38</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრიმინაციული მოტივებისგან თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის

---

<sup>35</sup> საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 250-253.

<sup>36</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 7, პუნ. 2: „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.“; საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 2, პუნ. 3: „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია“; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-918-2021.

<sup>37</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4, პუნ. „ა“.

<sup>38</sup> იქვე, მუხ. 2, პუნ. 2: „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“

შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულებაში განახორციელოს ცვლილებები, რომელთა შედეგადაც,
  - სამინისტროს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლისა და თავიდან გამოცხადების შესახებ, შემოფარგლული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევით, თუ წარდგენილი კანდიდატებიდან არცერთი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;
  - საბჭოს დებულებაში დეტალურად აისახება/განიმარტება ყველა კრიტერიუმი, რომლებსაც პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის პროცესში მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაეფუძნება;
- „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება (მინისტრი უფლებამოსილია სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნოს საკუთარი შეხედულებით) გამოიყენოს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, შესაბამისი ობიექტური და გონივრული გამართლების დასაბუთებით;
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პროფესიულ სახელმწიფო თეატრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დარგის კვალიფიციური ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობა და გამჭვირვალობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,